ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 337

„11" ოქტომბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში, I რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებული 587 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.08.001.056) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, I რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებული 587 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.08.001.056) დაინტერესებულ პირების: სოსო ენდელაძისა (პ/ნ: 35001056940) და ნელი ლიქოკელისთვის (პ/ნ: 35001081677) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის №37.19.812 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, I რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებული 587 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.08.001.056) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურით (16 000 ლარი) დაინტერესებული პირების: სოსო ენდელაძის (პ/ნ: 35001056940) და ნელი ლიქოკელის (პ/ნ: 35001081677) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „თრელებში" მდებარე 350 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.882) და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, „თრელებში" მდებარე 350 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.883) უფლებრივად უნაკლო სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი